# საქართველოს სპორტსმენები სეულის ოლიმპიადაზე

საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ დელეგაციაში თექვსმეტი უძლიერესი სპორტსმენია შეყვანილი საქართველოდან. ისინი სპორტის თოთხმეტ სახეობას წარმოადგენენ.
ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში თავისუფალი ჭიდაობა და ძიუდო ორ-ორი ათლეტითაა წარმოდგენილი, დანარჩენი სახეობები კი თითოთი (მძლეოსნობა, ფარიკაობა, კლასიკური ჭიდაობა, ტანვარჯიში, წყალბურთი, თანამედროვე ხუთჭიდი, სახტენდო სროლა, ფეხბურთი, ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, სინქრონული ცურვა და წყალში ხტომა).
საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყველაზე ბევრი ოლიმპიელი რესპუბლიკას XVIII ოლიმპიადაზე (ტოკიოში) ჰყავდა გაგზავნილი — 18 სპორტსმენი, ყველაზე ცოტა — 10 XVI ოლიმპიადაზე (მელბურნში). XVII (რომი), XX (მიუნჰენი) და XXII (მოსკოვი) თამაშებში საქართველო წარმოდგენილი იყო 16-16 ოლიმპიელით, XV (ჰელსინკი) და XIX (მეხიკო) ოლიმპიადებზე — 14-14 სპორტსმენით, XXI ოლიმპიადაზე (მონრეალი) კი მხოლოდ 11 მონაწილით.
გთავაზობთ სეულის XXIV ოლიმპიადის მონაწილეთა ფოტოებს.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 სექტემბერი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 178 (9845) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## იმრავლოს ფარმატებებმა!


მაია აზარაშვილი
(მძლეოსნობა)


ვლადიმერ აფციაური
(ფარიკაობა)


გურამ გედეხაური
(კლასიკური ჭიდაობა)


მიხეილ გიორგაძე
(წყალბურთი)


დავით გობეჯიშვილი
(თავისუფალი ჭიდაობა)


ვლადიმერ გოგოლაძე
(ტანვარჯიში)


გიორგი თენაძე
(ძიუდო)


ვახტანგ იაგორაშვილი
(თანამედროვე ხუთჭიდი)


თამაზ იმნაიშვილი
(სახტენდო სროლა)


ბელა კეტაშვილი
(ფეხბურთი)


ლეილა მესხი
(ჩოგბურთი)


ნინო სალუქვაძე
(ტყვიის სროლა)


ამირან ტოტიკაშვილი
(ძიუდო)


ხრისტინა ფალახანიდი
(სინქრონული ცურვა)


გიორგი ჩოგოვაძე
(წყალში ხტომა)


ლერი ხაბელოვი
(თავისუფალი ჭიდაობა)

### პიერ დე კუბერტენი

## ოდა სპორტს

I. შენ ხარ სპორტი და ხარ სიხარული! ხარ სიცოცხლის დიდი ლამპარი, მოულოდნელად ანთებული ზრთოკ მინდორში, სადაც ბრძოლაა გამართული არსებობისთვის. ხარ მოულოდნელი, ვით მოციქული გარდასულ დროთა, როცა ღიმილით იყო ფენილი კაცობრიობა. შენ მოხვედი და მთათა მწვერვალებზე ჯადოქარი ავროროს კალთა და ხინათლის თეთრი ზიტები შეეერთხიალდნენ დაბურულ ტყეში.

II. შენ ხარ სპორტი და ხარ სილამაზე! ხარ კარითსული ადამიანის სიხხლის და ზორცის, რომელიც შენით მშვენიერდება და არ არსებობს სილამაზე თვინიერ შენი თანადგომის, რადგან შენა ხარ სწორუპოვარი დიდოსტატი წონასწორობის და ჰარმონიის. შენ აცხებ სხეულს მძლეოსნმძლე ძალით და აძლევ ძალას სილამაზეს, სინარნარეს, მოხდენილობას.

III. შენ ხარ სპორტი და ხარ სამართალი! აღსრულებული ხარ სამართალი, რომელსაც ხალხი ამაოდ ეძებს დასაბამიდან მოაქუამამდე. ვერვინ ასცდება თუნდ ერთი გოჯით, სიმაღლეს, მხოლოდ შენ დასძლიე და არვის ძალუძს გადაჭარბოს ულმობელ წამებს, თუ არა შენივე შემწეობით და დახმარებით.

IV. შენ ხარ სპორტი და სიმამაცე! და მთელი აზრი ადამიანის ძალთაზმევისა ერთ სიტყვაშია მოქცეული და სიტყვა იგი არს: „შემართება". შემართებისთვის, მხოლოდ და მხოლოდ შემართებისთვის, სხვად არად უნდა ადამიანს ძალი და ღონე. სიმამაცე კი, შენით შობილი სიმამაცე, განსხვავდება შლეგთა უმიზნო სიმამაცისგან, გონიერია ეგ სიმამაცე.

V. შენ ხარ სპორტი და შენ ხარ ღირსება! ყველაფერი, რაც შენ მოეცი, რასაც შენ აძლევ ადამიანებს, მოპოვებული არის მხოლოდ ღირსეულ ბრძოლით, გაშინა იგი, ვინაც იცრუა, ვინც არ დაინდო მოყვასი თვისი, თავს ვერ დააღწევს სინდისის ქენჯნას და სიკვდილამდე აქნება ასე, ლაფდასხმული და შერცხვენილი.

VI. შენ ხარ სპორტი და შენ ხარ ზეიმი! შენით ზეიმობს ადამიანი და სისხლი შენით უფრო მეტგრად ეხლება ძარღვებს. შენით გონების ჰორიზონტი ფართოვდება და იწმინდება. შენ შეგიძლია უბედური ახსნა სევდისგან და ბედნიერი აზიარო ქვეყნად უმაღლეს ბედნიერებას.

VII. შენ ხარ სპორტი და ხარ ზეკეთილი! ნაყოფი შენი არის უხვი და არის ჯანმრთელი, შენ ხარ მძლეველი ქვეყნად ყველა ავადმყოფობის. ათლეტი შენი თვალებით უმზერს თავის ძლიერ და კუნთმაგარ ბიჭებს, რომლებმაც უნდა შეცვალონ იგი და მამის მსგავსად თავს დაიდგამ დაფნის გვირგვინი.

VIII. შენ ხარ სპორტი და შენ ხარ პროგრესი! ჭურჭში შენი უნდა იყოს წმინდა სულითაც და სხეულითაც. შენ აწყავლი ადამიანებს, იცხოვრონ ბრძნულად, მიაღწიონ ახალ სიმაღლეს, ახალ მწვერვალს, გადალახონ დაბრკოლებანი, თლონდ კი ისე, რომ არა ავნონ საკუთარ სულს და საკუთარ სხეულს.

IX. შენ ხარ სპორტი და შენ ხარ მშვიდობა! შენ აახლოებ ადამიანებს, თესავ სიკეთის თესლსა და მერე თავადვე იმკი საკუთარი სიკეთის ნაყოფს. შენ შთააგონებ ახალგაზრდობას, რომ პატივი სცენ საკუთარ თავს და მშობლიურ მიწას და შენ ასწავლი ადამიანებს, რომ ერთადერთი სამართლიანი ბრძოლა, ეს არის, ბრძოლა საქვეყნო მშვიდობისათვის.

თარგმნა პაატა ნაცვლიშვილმა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოლომდე მივიყვანოთ ყველა წამოწყებული საქმე, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები ყველგან და ყველაფერში!

„ლელოს“ საკორესპონდენტო პუნქტი გლდანის სკოლა-ინტერნატში

## რემონტს მხოლოდ „ესპერანტო“ დააჩქარებს

მშენებლობა რომ ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი ჩამორჩენილი უბანია, „არ ახალია, ძველია“, მაგრამ ერთია, როდესაც ეს ყველაფერი ყურმოკვრით იცი, მეორე — როცა საქმეში ჩაიხედავ და ამ დარგის ლაბირინთებში კარგად გაერკვევი. არ გვინდა ვინმემ ისე გაგვიგოს, თითქოს ჩვენთვის ამ სფეროში ახლა კი ყველაფერი დღესავით ნათელია, მაგრამ რიგით მეექვსე თათბირმა, რომელიც სპორტული პროფილის რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში ჩატარდა, კაპიტალური შეკეთების აგვისტო-სექტემბრის სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ, ბევრ საკითხზე თვალი აგვიხილა. ეს „მეტამორფოზა“ მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: თუ აქამდე გვიკვირდა სარემონტო სამუშაოთა მიმდინარეობაში გამეფებული ქაოსი, ამჟერად გაოცებული ვართ ამ დარგის მუშაკთა პასუხისმგებლობის გრძნობის ერთბაშად „ამაღლებით“. ნათქვამი გადაჭარბებულ ემოციებად და ლიტონ სიტყვებად რომ არავინ ჩამოგვართვას, ფაქტებს მოვუხმობთ.

ინტერნატში კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, როგორც ცნობილია, თვის ბოლოს უნდა დამთავრდეს. უკვე გავიდა დროის უმეტესი ნაწილი. რა გაკეთდა აღნიშნულ პერიოდში? ამ კითხვაზე პასუხს ყველაზე უკეთ ათვისებული თანხის რაოდენობა გაგვცემს. რემონტისთვის გამოყოფილი მილიონ ორასი ათასი მანეთიდან დღეისათვის დახარჯულია 78 ათასი (!) მანეთი. უმაღლესი მათემატიკის ცოდნა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რამდენად უმნიშვნელო სამუშაოებია შესრულებული.

ახლა კი უფრო კონკრეტულად იმაზე, ვინ რა წვლილი შეიტანა სამუშაოთა წარმოებაში. დახარჯული თანხიდან ყველაზე მეტი — 43 ათასი მანეთი აითვისა კომუნალური და საბინაო მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო სამმართველომ (ამ ორგანიზაციამ გეგმით 200 ათასი მანეთის სამუშაოები უნდა შეასრულოს). 20 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულა ავიამშენის № 20 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ (გეგმა — 360 ათასი მანეთი). 15 ათასი მანეთი „დახარჯა“ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ინდუსტრიის სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ (გეგმა — 250 ათასი მანეთი).

„თბილგვირაბმშენის“ № 1 სარემონტო-სამონტაჟო სამმართველოს, ამიერკავკასტრანსმშენის სამშენებლო სამმართველოს და „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ წარმომადგენლებს საერთოდ არ დაუდგამთ ფეხი ინტერნატის ტერიტორიაზე.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ „საქმთავარმონტაჟსპეცმშენი“, რომლის წარმომადგენელი რიგით მეოთხე თათბირის მონაწილეებს „საზეიმოდ“ დაჰპირდა, 6 სექტემბერს შევუდგებით მუშაობასო. თუ რატომ მივანიშნეთ ამ ორგანიზაციას სხვებთან შედარებით „უპირატესობა“, ამის შესახებ ადრეც არაერთხელ გვითქვამს. ახლა კი სიტყვას ვაძლევთ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „მშენინდუსტრიის“ სამუშაოთა მწარმოებელ თენგიზ შამილს.

— ჩვენ საცურაო აუზის რემონტი გვაქვს დავალებული. მეოცე დღეა, რაც მუშაობას შევუდექით. ათ დღეში დავამთავრეთ პირველი რიგის სამუშაოები — კაფელის, მეტლახის ფილების მონგრევა. ახლა სახურავსა და ფასადს ვარემონტებთ. ეს სამუშაო ერთ კვირას კიდევ გაგრძელდება. შემდეგ ან ქუდი უნდა დავიხუროთ და შინ წავიდეთ, ან გულხელდაკრეფილები ველოდოთ როდის მოვლენ სანტექნიკოსები და ელექტრიკოსები, რადგან მათ გარეშე, გასაგები მიზეზების გამო, ჩვენს გარჯას ფასი არა აქვს. ნორმალურ პირობებში ჩვენი და მათი საქმე პარალელურად უნდა კეთდებოდეს.

ზუსტად ასეთივე პრეტენზიებს გამოთქვამს ორგანიზაციათა უმეტესობა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ბოროტად იყენებს აღნიშნული ორგანიზაციის უპირობას. მაგალითად, „თბილგვირაბმშენის“ № 1 სარემონტო-სამონტაჟო სამმართველოს მუშაკმა შალვა ტულუშმა (სხვათა შორის, „თბილგვირაბმშენის“ წარმომადგენლები პირველად იყვნენ თათბირზე. ამ ორგანიზაციას სასწავლო კორპუსისა და სასადილოს რემონტი აქვს დავალებული) განაცხადა, რომ სანტექნიკოსები და ელექტრიკოსები ხელს უშლიან საქმის დაწყებას — მოსაცდენი საშხი სადა გვყავსო. თუმცა, როგორც თათბირზე ითქვა, მათ უამრავი მოსამზადებელი სამუშაო ელით (სახურავის, კიბის, დერეფნის, ფასადის, კარების, ფანჯრების შეკეთება).

ჩვენს შეკითხვაზე „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოს უფროსის მოადგილემ ნიკოლოზ ხეთურიძემ განაცხადა:

— სანტექნიკურ და ელექტროგაყვანილობის სამუშაოებს პირველ და მეორე საძინებელ კორპუსებში სექტემბრის ბოლოს დავამთავრებთ. სხვა ობიექტებისა რა მოგახსენოთ.

აქვე უნდა შევეხოთ კიდევ ერთ ფაქტს. ტექნიკური დოკუმენტაცია ძირითადად სამი თვის წინ შესრულდა (ამისთვის მართლაც თავაუღებლად იშრომა სახალხო განათლების საპროექტო კანტორამ. დირექტორი — გიორგი მეზურნიშვილი) და მოიჯარე ორგანიზაციებს გადაეცათ. მათ, პრეტენზიების შემთხვევაში, ოცი დღის განმავლობაში უნდა გაეგზავნათ შენიშვნები. უმეტესმა ორგანიზაციებმა იმის გამო, რომ სამუშაოთა დაწყება აზრადაც არ მოსვლიათ, მხოლოდ ახლა აღმოაჩინეს ტექნიკური დოკუმენტაციის ზოგიერთი უზუსტობა, რაც, ცხადია, კიდევ უფრო შეაფერხებს კაპიტალურ რემონტს.

კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხზე. ახლახან ზემდგომი ორგანოების ჩარევით გადაწყდა დამატებით განკარგულებაში შეეტანათ სამშენებლო მასალები, რომლებიც დეფიციტის გამო განკარგულების პირველი პროექტიდან ამოიღეს. ეს მთლიანად დააკმაყოფილებს მოიჯარეთა მოთხოვნებს. თუმცა, თუ დამატებით განკარგულებას „საქმთავარმომარაგებამ“ და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა „ვიზა“ არ მისცეს, იგი ჩვეულებრივ უსარგებლო ქაღალდად დარჩება.

სხვათა შორის, ამავე თათბირზე გადაწყდა დღემდე გადაუჭრელი „პრობლემა“. ვის უნდა შეეტანა ობიექტზე სარემონტო მასალები. აქამდე მოიჯარენი ინტერნატს სთხოვდნენ დახმარებას, ახლა ყველა ორგანიზაციამ თვითონ უნდა უზრუნველყოს სამშენებლო მასალათა ტრანსპორტირება.

ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი მოგვარდა, საქმის ნორმალურ მსვლელობას არაფერი უშლის ხელს. და მაინც, ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი სამშენებლო მასალებით მომარაგების მხრივ. ინტერნატში, თათბირებზე არცთუ ორაზროვნად ამბობენ, ვითომ „საქმთავარმომარაგებას“ და „ქაღალდ ხეტყემომარაგებას“ თავიანთი ანგარიშები აქვთ და, თუ მოიჯარეებმა საერთო ენა ვერ გამონახეს, არაფერი გამოვაო. „საერთო ენაში“, ჩვენი ვარაუდით, ესპერანტოს გულისხმობენ. ნაკლებს, როგორც ჩანს, არ სჯერდებიან.

სიტყვამ მოიტანა და ზემდგომ ინსტანციებში შეკრების დროს საქმთავარმომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ კუკური გვარიშვილმა საქვეყნოდ განაცხადა — ორი ათას კვადრატულ მეტრ პარკეტს არა, მაგრამ 500 კვადრატული მეტრი, თუნდაც ხვალვე წაიღეთო. ეს მხოლოდ ერთი საძინებელი კორპუსისთვისაა საკმარისი, მაგრამ გვარიშვილის ამ დაპირებას ცის მანანასავით შეხვდნენ — ერთ საქმეს მაინც მივიყვანთ ბოლომდეო. და აი, მეორე დღეს კომუნალური და საბინაო მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო კანტორის უფროსი ბ. კვანტალიანი საქქაღალდ ხეტყის მომარაგების უფროსს ბონდო ხობელავას ეწვია დაპირებული პარკეტის წამოსაღებად. ხობელავამ — წერილი დამიტოვეთ და ამავე საშუალებით გაცნობებთ პასუხსო. წერილი რომ დაგვიანდა, კვანტალიანმა ხობელავას მეორედ მიაკითხა. ამ საკითხს უმოკლეს დროში გადავწყვეტთო, — დააიმედეს.

მას შემდეგ ორ კვირაზე მეტი გავიდა, მაგრამ ნანატრი პარკეტი თვალითაც არავის უნახავს. მოდი და ამის შემდეგ ნუ გაოცდები.

სხვათა შორის, ხობელავასთან 5 სექტემბერს ამიერკავკასტრანსმშენიდანაც მივიდნენ კუთვნილი მასალების გამოსატანად და უარით გამოისტუმრეს — ჯერ არავითარი წერილი ამის შესახებ არ მიგვიღიაო.

როგორც ყველაფრიდან ჩანს, სარემონტო მასალები კვლავ აქილევსის ქუსლად რჩება. თუმცა ეს ერთ-ერთი მთავარი ნაკლია, თორემ სხვა ხარვეზიც რომ ბევრია, ვფიქრობთ, ამაში მკითხველი უკვე დარწმუნდა.

ჯემალ კახრაძე.

რედაქციისაგან: მშენებლები, ცალკეული უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები გულწრფელად განიცდიან, რომ საქმე ასე უსაშველოდ გაჭიანურდა. ახლა ყველა ცდილობს, რათა მდგომარეობა გამოასწოროს. ვიმედოვნებთ, გულწრფელ სინანულს და დაპირებებს საქმეში პრაქტიკული გარდატეხა მოჰყვება.

# SOS

## დეპეშა ნომერში!

გეგეჭკორის რაიონის სანაჭყებიოს რვაწლიან სკოლაში ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია. ფიზაღზრდის მასწავლებლად შეთავსებით მუშაობს დაწყებითი სწავლების სამხედრო ხელმძღვანელი, რომელიც სხვა სოფელში ცხოვრობს. უკმაყოფილებას გამოთქვამენ მშობლები. ფიზაღზრდის მასწავლებელი განათლების განყოფილების აზრს არ იზიარებს და ჯიუტად არ უთმობს ადგილს სპეციალისტს. გთხოვთ მიიღოთ ზომები.

აკაკი ხარბედია.

გეგეჭკორის რაიონი,
სოფ. ტალერი.

რედაქციისაგან: სკოლაში რომ საგანს სპეციალისტი უნდა ასწავლიდეს, ეს ყველას კარგად მოეხსენება. დღეს, როცა ასე გაიზარდა მოთხოვნები ფიზიკური აღზრდის სწავლებისადმი, როცა აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებელში შესვლის წინ ჩათვლებს აბარებენ ფიზიკურ მომზადებაში, ცხადია, მოუთმენელია სასკოლო ფიზკულტურისადმი გულგრილი დამოკიდებულება. გასაგებია მშობელთა უკმაყოფილებაც.

რედაქცია სასწრაფოდ ელოდება პასუხს განათლების შესაბამისი ორგანიზაციებიდან. იმედია, მივიღებთ სრულ და ამომწურავად დასაბუთებულ განმარტებას თუ რით არის გამოწვეული სანაჭყებიოს რვაწლიან სკოლაში ფიზკულტურისადმი ასეთი დამოკიდებულება.

[illegible]

„ლელოს“ გამოსვლის კვალდაკვალ

## „რა აფერხებს „დიდი ბაკურიანის“ განაშენიანებას?“

23 აგვისტოს „ლელომ“ ამ სათაურით გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო ჩვენს ზამთრის კურორტსა და სამთო-სათხილამურო ცენტრში კეთილმოწყობის მთელი რიგი სამუშაოების გაჭიანურების შესახებ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბაკურიანის გაზიფიკაცია. ამ დღეებში „ლელო“ დაუკავშირდა საქართველოს სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ვლასი მანჯგალაძეს. აი რა თქვა მან:

ჩვენ გვევალება გაზის გაყვანილობით დაბის დაქსელვა. ამჟამად 12 კმ საერთო სიგრძის ტრასა გაყვანილია. სამუშაოები გრძელდება, ასე რომ წელს დავალების საერთო მოცულობით გათვალისწინებულ სამუშაოთა 70 პროცენტს შევასრულებთ. მაგრამ ახლა მთავარი საკითხია გაზი შემოვიდეს ბაკურიანში. ამის შემდეგ შეიქმნება შესაძლებლობა, მოვამარაგოთ ბუნებრივი საწვავით როგორც დაბის მოსახლეობა, ასევე პანსიონატები და ცალკეული ობიექტები. დასასვენებელი სახლების საქვაბეების გაზიფიკაცია წელს ალბათ არ მოესწრება, რადგან დამკვეთა ორგანიზაციებიდან (ნაწილისგან) გვიან მოგვივიდა, უმრავლესობისაგან კი დაკვეთა ჯერაც არ მიგვიღია. მოსახლეობა კი, ვფიქრობთ, წელსვე მიიღებს გაზს, თუკი „საქტრანსგაზი“, რომელსაც მაგისტრალი შემოჰყავს ბაკურიანში, დროზე დაამთავრებს სამუშაოებს. ბაკურიანის გაზიფიკაცია საშური საქმეა თუნდაც ეკოლოგიის თვალსაზრისით — დაბის ირგვლივ ტყეს გადავარჩენთ გაჩეხვისაგან და შევინარჩუნებთ სუფთა ჰაერს.

კარლო ნიკოლაიშვილი — საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზის“ სამმართველოს უფროსი: გაზსადენის მაგისტრალური ხაზის გაყვანას ჩვენ დეკემბრის ბოლომდე დავამთავრებთ. უკვე გაყვანილია 10 კმ-ზე მეტი სიგრძის ტრასა და სამუშაოების საერთო მოცულობის 60-65 პროცენტი შესრულებულია. ახლა მაგისტრალი გასაყვანია კიდევ დაახლოებით 8 კმ-ზე.

## წერილი რედაქციას!

ძვირფასო რედაქციავ, გავეცანი თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილს „საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში საზოგადოებრივ კონტროლზეა“ და ჩემი აზრით უკვე დროა ამდენი ლაპარაკის შემდეგ საქმეზე გადავიდეთ.

პირველ რიგში მინდა გითხრათ ხულიგნებისა და თამაშების ეგრეთწოდებული გამყიდველების, ანუ მექრთამეების შესახებ. რატომ არ ისჯებიან ისინი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების მიხედვით? მეორეც, ჩემი ნება რომ იყოს, ამ პირებს საერთოდ ავუკრძალავდი საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობას, ფეხბურთი თუ უყვართ, ითამაშონ თავიანთთვის სადაც უნდათ, მაგრამ არა ოფიციალურ მატჩებში.

კიდევ ერთი: 28 წლის ზემოთ უპერსპექტივო ფეხბურთელებს ავუკრძალავდი „პროფესიულ“ (თავს ნუ ვიტყუებთ) გუნდებში თამაშს. სჯობს, მათ დროულად იპოვონ საზოგადოებაში თავიანთი ადგილი, იქნებ, ამით უფრო მეტი სარგებლობა მოუტანონ ქვეყანას.

გ. მიქაძე,

თბილისი.

## გულნატკენი კაცის წერილი

### მასში მხილებულია საქართველოს პირველობის საფეხბურთო მეურნეობაში არსებული ხარვეზები

ამ დღეებში წერილი მივიღეთ აბაშიდან. გვწერს აბაშის „ზანას“ მწვრთნელი ო. ჭანტურია.

აბაშის რაიონს 1976 წლამდე საქართველოს პირველობის არც ერთ ჯგუფში არ ჰყავდა ფეხბურთელთა გუნდი. 1976 წლიდან ავტოსატრანსპორტო საწარმოში შეიქმნა გუნდი „ავტომობილისტის“ სახელწოდებით, რომელიც რაიონის ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა. შემდგომ წელს „ავტომობილისტმა“ საქართველოს პირველობის III ჯგუფში მონაწილეობის უფლება მოიპოვა და დღესაც იქ გამოდის.

ამ წლების განმავლობაში, — გვწერს ო. ჭანტურია, — საშუალო სკოლებიდან „ავტომობილისტში“ ავიყვანე რამდენიმე პერსპექტიული ფეხბურთელი, მათ შორის იყო იმედისმომცემი მოთამაშე ნ. ნოდია, რომელიც მერვე კლასიდან ვარჯიშობდა ჩვენს კოლექტივში. მაშინ, როცა ამ ფეხბურთელმა საგრძნობლად მოუმატა თამაშს, მასზე „ნადირობა“ დაიწყეს საქართველოს პირველობის პირველი ჯგუფის გუნდების მწვრთნელებმა, რომლებიც ახალგაზრდა ფეხბურთელს ანაზღაურებას პირდებოდნენ. ასე გადაიბირეს ნ. ნოდია პირველად ჩხოროწყუს „სამეგრელოში“, მაგრამ კანონისა და დებულების თანახმად ისევ უკან დავიბრუნეთ.

წლეულს სეზონის დაწყებამდე ცხაკაიას „ეგრისის“ მწვრთნელმა მოახერხა ნ. ნოდიას გადაბირება, სანწვრთნელო შეკრება მან „ეგრისთან“ ერთად ლესელიძეში გაიარა. ჩვენ ამჟერადაც მოვახერხეთ მოთამაშის უკან დაბრუნება, რადგან ჩვენი სისწორე დავუსაბუთეთ ცხაკაიას რაიონის ხელმძღვანელობას. ნ. ნოდია ამის შემდეგ ჩვენთან თამაშობდა, მაგრამ არაფერს სახიკეთოს იგი გუნდისთვის არ აკეთებდა, უმიზეზოდ აცდენდა ვარჯიშებს, კონფლიქტი ჰქონდა ადგილობრივ ფეხბურთელებთან.

ამას წინათ აბაშაში მივლინებული იყო რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ვ. ეჯიბია. მან გადმომცა ფეხბურთის სამმართველოდან გამოგზავნილი დეპეშა, სადაც ითხოვდნენ, რომ თამაშის დამთავრების შემდეგ ვ. ეჯიბიას ფეხბურთის სამმართველოში წამოეღო ნ. ნოდიას პირადი ბარათი, ხოლო მე გამოვცხადებულიყავი ფეხბურთის სამმართველოს უფროსთან. ავადმყოფობის გამო თბილისში ჩასვლა ვერ შევძელი, რამდენიმე დღის შემდეგ კი ნ. ნოდია ცხაკაიას „ეგრისის“ შემადგენლობაში თამაშობდა, მისი გადასვლა ცხაკაიას „ეგრისში“ დებულების უხეში დარღვევით მოხდა.

არ იფიქროთ, რომ არ მიხარია ჩემი აღზრდილი ფეხბურთელების მაღალ ლიგაში გადასვლა, პირიქით, ყველა მწვრთნელის უპირველესი მიზანიც სწორედ ეს არის, მაგრამ დებულება და კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს. არავითარი ოფიციალური წერილი ნ. ნოდიას თაობაზე არ მიგვიღია, არც ამ ფეხბურთელის ჩვენი გუნდიდან გადასვლა არის სადმე ფიქსირებული. ნ. ნოდია არც რაიონიდან არის ამოწერილი და სამხედრო აღრიცხვაზეც კვლავ ჩვენს რაიონშია.

ასევე დებულების დარღვევით შეიყვანეს ცხაკაიას „ეგრისის“ განაცხადში ფეხბურთელი გერგელა, რომელიც საბჭოთა არმიის რიგებში იხდიდა სამსახურს, მაგრამ ცხაკაიელთა მწვრთნელმა გ. ოდიშარიამ ისე მოახერხა, რომ გერგელა ახლა ცხაკაიაში თამაშობს.

# სსრ კავშირის თასზე

**12 სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის 1988-89 წლების გათამაშების მერვედფინალური მატჩები.**

თბილისის დინამოელებს ამ ეტაპის პირველი შეხვედრა ლვოვში ჰქონდათ ადგილობრივ ასკ „კარპატისთან“.

ლვოვის გუნდს, რომელიც I ლიგის საკავშირო გათამაშებაში მერვე ადგილზე იმყოფებოდა, ეს მატჩი ფრიად პრესტიჟულად ესახებოდა, ამიტომაც პირველივე წუთებიდან სცადა ინიციატივის ხელში აღება. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მასპინძლები მოქმედებდნენ ენერგიულად, სწრაფი ტემპით, გუნდი იერიშებს ძირითადად მარჯვენა ფლანგიდან ახორციელებდა, სადაც განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბონდარჩუკი და გამალი, ხოლო ცენტრში—იურჩენკო, მედვიდი, ბუნიაკი და სხვანი. თითქმის მთელი 45 წუთის მანძილზე უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ დინამოელებმა კარგად მოაწესრიგეს ურთიერთობა დაცვის რგოლებს შორის და რამდენიმე კონტრიერიშიც განახორციელეს. ტაიმის დასასრულს ასკ „კარპატის“ იერიშებმა იმატა, მაგრამ შედეგი არც ამას არ გამოუღია.

ეტყობა, ლვოველმა ფეხბურთელებმა მატჩის პირველ ნახევარს ბევრი ენერგია შესწირეს, შესვენების შემდეგ მათი სათამაშო რესურსები ამოიწურა, მდგომარეობა თანდათან გათანაბრდა, შემდეგ კი მეკარე რასულოვსაც მოუხდა რამდენიმე ძნელი ბურთის აღება.

მატჩის ბოლო წუთები კვლავ ლვოველთა ძლიერი შეტევებით აღინიშნა, მაგრამ საწადელს მათ ვერ მიაღწიეს და თამაშიც ფრედ დამთავრდა — 0:0.

თბილისის „დინამომ“ ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, თეთრაძე, ცხადაძე, ჩედია, არზიანი, გ. ჭიშკარიანი (თედეევი), ხვანაძე, ცვეიბა, ცაავა (გურული), ფანცულაია, გოგიჩაიშვილი. იმსაჯა მოსკოველმა ა. ლუნინმა, გააფრთხილეს გურული.

**ᲓᲘᲓ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲓ** შეიძლება ჩაითვალოს ქუთაისის ტორპედოელთა ფრე (0:0) ალმა-ათაში, ადგილობრივ „კაირატთან“. ქუთაისელმა ფეხბურთელებმა მიზანს მიაღწიეს, საპასუხო მატჩში შინ მათ გარკვეული პერსპექტივები აქვთ.

თასის მერვედფინალის 16 გუნდიდან 12 უმაღლესი ლიგის წარმომადგენელია, ორი — პირველი და ორიც — მეორე ლიგისა. დაბალი ლიგების წარმომადგენელთაგან, როგორც მოგახსენეთ, შემდგომ ეტაპზე გასვლის კარგი შესაძლებლობა მოიპოვა ქუთაისის „ტორპედომ“, დამაკმაყოფილებლად ითამაშა ლვოვის გუნდმაც, ხოლო რაც შეეხება ნიკოპოლის „კოლოსს“ და პავლოდარის „ტრაქტორს“, საპასუხო მატჩებში ძნელად რომ ამ გუნდებმა შეძლონ წარმატების მიღწევა, ვინაიდან პავლოდარელებმა ანგარიშით 0:4 წააგეს დონეცკის „შახტიორთან“, ხოლო ნიკოპოლელებმა — მოსკოვის „სპარტაკთან“ — 0:3.

მეოთხედფინალში გასვლის კარგი შესაძლებლობა აქვს დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“, რომელმაც ლენინგრადში ანგარიშით 1:0 დაამარცხა „ზენიტი“. ფრედ დამთავრდა ხარკოვის „მეტალისტისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ (1:1), ვილნიუსის „ჟალგირისისა“ და კიევის „დინამოს“ (1:1) შეხვედრები, ხოლო მინსკის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე ანგარიშით 2:0 მოუგეს ბაქოს „ნეფთჩის“.

მერვედფინალის საპასუხო თამაშები გაიმართება 30 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს.

განვლილ კვირას გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, 32-ე ტურის მატჩები. ამ ტურის ორი შეხვედრა ადრევე შედგა, ლვოვის ასკ „კარპატიმ“ თავის მინდორზე ანგარიშით 2:0 დაამარცხა სტავროპოლის „დინამო“, ხოლო ბათუმის დინამოელებმა ნიკოპოლში წააგეს „კოლოსთან“ — 1:2. ეს მატჩები გადაიტანეს იმის გამო, რომ ასკ „კარპატი“ და „კოლოსი“ სსრ კავშირის თასის მერვედფინალში გამოდიოდნენ. გათამაშების ლიდერმა დუშანბეს „პამირმა“ თავის მინდორზე ვოროშილოვგრადის „ზარია“ მიიღო და მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ მიაღწია გამარჯვებას — 2:1.

ასევე გაუჭირდა მოგება რიგის „დაუგავას“, რომელიც ტურიდან ტურამდე იუმჯობესებს მდგომარეობას, ორჯონიკიძის „სპარტაკთან“ — 1:0.

ასევე ძნელად გაიმარჯვეს ლიდერთა ჯგუფის სხვა წარმომადგენლებმაც: ვოლგოგრადის „როტორმა“ ანგარიშით 2:1 დაამარცხა კემეროვოს „კუზბასი“, ხოლო ტაშკენტის „ფახთაქორმა“ — დონის როსტოვის „როსტსელმაში“ — 2:1.

სხვა შეხვედრათა შედეგები: „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 2:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:0.

ლანჩხუთის „გურიას“ 32-ე ტურის შეხვედრა ზაპოროჟიეში ჰქონდა „მეტალურგთან“. ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა ამ მატჩში ქულა აიღეს — 0:0.

აღსანიშნავია, რომ ლიგის საუკეთესო ბომბარდირთა შორის წინაა „პამირის“ თავდამსხმელი მ. მუჰამადიევი — 16 გოლი. ორი ბურთით ნაკლები გაიტანეს ლანჩხუთის „გურიის“ ნახევარმცველმა მ. ჟორდანიამ, აგრეთვე, ცსკა-ს მოთამაშემ ვ. კუხლევსკიმ და ვოლგოგრადელმა ა. ნიკიტინმა.

შემდგომი, 33-ე ტურის მატჩები საქართველოს გუნდებს შინა აქვთ. ეს შეხვედრები საყოველთაო ინტერესს იწვევს: ლანჩხუთის „გურია“ ღებულობს გათამაშების ლიდერს დუშანბეს „პამირს“, ხოლო ბათუმის დინამოელები ხვდებიან ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს ტაშკენტის „ფახთაქორს“. ეს მატჩები 17 სექტემბერს გაიმართება.

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა — 14 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პამირი“ | 31 | 20 | 8 | 3 | 59-26 | 48 |
| „როტორი“ | 30 | 17 | 4 | 9 | 51-27 | 38 |
| „ფახთაქ.“ | 31 | 15 | 8 | 8 | 44-28 | 38 |
| ცსკა | 30 | 14 | 8 | 8 | 41-25 | 36 |
| „დინ.“ სტ. | 31 | 14 | 8 | 9 | 41-31 | 36 |
| „გურია“ | 29 | 15 | 5 | 9 | 44-29 | 35 |
| „დაუგავა“ | 30 | 14 | 6 | 10 | 43-35 | 34 |
| ასკ „კარპ.“ | 30 | 13 | 7 | 10 | 41-23 | 33 |
| „გეოლოგი“ | 30 | 13 | 5 | 12 | 35-39 | 31 |
| ასკ რ. | 29 | 12 | 7 | 10 | 39-40 | 31 |
| „როსტსელ.“ | 30 | 12 | 7 | 11 | 41-43 | 31 |
| „ტავრია“ | 31 | 10 | 10 | 11 | 28-30 | 30 |
| „კოტაიკი“ | 31 | 12 | 5 | 14 | 40-57 | 29 |
| „სპარტაკი“ | 31 | 11 | 6 | 14 | 41-45 | 28 |
| „შინიკი“ | 31 | 10 | 7 | 14 | 31-37 | 27 |
| „მეტალურ.“ | 31 | 9 | 9 | 13 | 22-32 | 27 |
| „კუზბასი“ | 31 | 7 | 12 | 12 | 22-32 | 26 |
| „დინ.“ ბ. | 29 | 10 | 4 | 15 | 26-34 | 24 |
| „ყუბანი“ | 31 | 9 | 6 | 16 | 28-43 | 24 |
| „ზარია“ | 30 | 8 | 7 | 15 | 36-44 | 23 |
| „კოლოსი“ | 31 | 7 | 6 | 18 | 23-45 | 20 |
| „ზვეზდა“ | 30 | 5 | 9 | 16 | 25-56 | 19 |



# დიდი აღიარება

## რინატ დასაევი — მსოფლიოს საუკეთესო მეკარე

**ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გაზეთმა „ფუსბალ-ველტცაიშრიფტმა“ მოაწყო სპორტული ჟურნალებისა და გაზეთების, აგრეთვე ცნობილი საფეხბურთო ექსპერტების გამოკითხვა, რომლებსაც უნდა გამოევლინათ მსოფლიოს საუკეთესო მეკარე.**

1988 წლის საუკეთესო მეკარედ მსოფლიოში აღიარებულია სსრ კავშირისა და მოსკოვის „სპარტაკის“ მოთამაშე რინატ დასაევი, რომელმაც 119 ქულა დააგროვა. რეფერენდუმის პირველ ლაურეატს მნიშვნელოვნად ჩამორჩა ჰოლანდიის ნაკრების მეკარე, ევროპის წლევანდელი ჩემპიონი იოჰანეს ვან ბრეკელენი. მესამე ადგილი წილად ხვდა იტალიის ნაკრების მეკარეს ვალტერ ძენგას.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ოფიციალურად იტყობინება, რომ მსოფლიოს საუკეთესო მეკარისთვის დაწესებულ თასს და სათამაშო სვიტრს რინატ დასაევს ა. წ. 22 ოქტომბერს გადასცემენ მოსკოვში „სპარტაკისა“ და კიევის „დინამოს“ საკავშირო ჩემპიონატის მატჩის წინ.

# „კოლხეთი“ — გათამაშების ლიდერი

საქართველოს პირველობა

14/IX 178 (9845)

**11 სექტემბერს ხობში შედგა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი. ადგილობრივმა „კოლხეთმა“ ვანის „სულორს“ უმასპინძლა.**

ამ ტურამდე ორივე გუნდი 41-41 ქულით სათავეში ედგა გათამაშებას, ამიტომაც ხობში ჩატარებულმა მატჩმა მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. პირველი წრის შეხვედრა ვანში დამთავრდა „სულორის“ გამარჯვებით — 1:0.

თამაში უაღრესად დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა, „კოლხეთის“ ცენტრალური სტადიონის ტრიბუნებზე თამაშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ტევა არ იყო, რაიონის ხელმძღვანელობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სტადიონზე უწესრიგობის აღსაკვეთად თავიდანვე დაიჭირეს თადარიგი. ადგილობრივ წესრიგის დამცველებს მეზობელი რაიონებიდანაც შეემატნენ მილიციის თანამშრომლები. ვინ იცის, წინასწარ ასე კარგად ორგანიზებული ღონისძიებანი რომ არა, რა მოჰყვებოდა ზოგიერთი ვაი-გულშემატკივრის ხულიგნურ გამოხდომებს. მთელი 90 წუთის განმავლობაში არ დამცხრალა ზოგიერთი ვანელი თავაშვებული მაყურებლის ღრიანცელი, თამაშის მსვლელობისას მათ მინდორზე რამდენჯერმე თვითნაკეთი მაშხალაც ისროლეს.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, სტუმრებმა პირველივე წუთებზე რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს, ვანელთა ლიდერი დ. პაიკიძე ორჯერ დარჩა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ბოლო მომენტში ორივეჯერ შეცდა. შემდგომში თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, ორივე მხარეს ცდა არ დაუკლია უპირატესობის მოსაპოვებლად.

მიმდინარეობდა პირველი ტაიმის ბოლო წუთი, როცა მასპინძელთა თავდამსხმელმა მელიამ ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა. სწორედ ამ გოლის შემდეგ აირია მონასტერი, ზოგს მიაჩნდა, რომ ძლიერად დარტყმული ბურთი, რომელიც ზედა ძელს მოხვდა, კარში ჩაეშვა, ზოგი კი მიიჩნევდა, რომ ბურთი ხაზზე დაეცა. გვერდითმა მსაჯმა შავიშვილმა გოლი აღნიშნა, ხოლო არბიტრმა დავიდიანმა მოთამაშეებს ცენტრისკენ მოუწოდა. ძნელია ასეთ სიტუაციაში ჩაერიო მსაჯის საქმეში...

მეორე ნახევარში თამაშის სადავეები მთლიანად ხობელებმა იგდეს ხელთ. მათ კიდევ სამი „მშრალი“ გოლი გაიტანეს ვანელთა კარში. თავი გამოიჩინეს იმავე მელიამ და ქომეთიანმა (2). 4:0 — ასე გაიმარჯვა ხობის „კოლხეთმა“ და 43 ქულით სათავეში ჩაუდგა გათამაშებას.

გვინდა აღვნიშნოთ ამ შეხვედრის არბიტრების — დავიდიანის, მუხაშავრიას და შავიშვილის მსაჯობა. ეტყობა, ყველა არბიტრი ვერ განთავისუფლდა „მასპინძელთა სინდრომისაგან“; თუმცა, მასპინძლები ამ დღეს აშკარად უკეთ თამაშობდნენ.

მორიგ შეხვედრას ხობის „კოლხეთი“ კვლავ თავის მინდორზე გამართავს, მისი მეტოქეა გათამაშების ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი — ზუგდიდის „დინამო“. ეს მატჩიც განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია.

**ზაზა კახაძე.**
**(„ლელოს“ სპეც. კორ.).**

# ქუჩიდან დაიწყეს...

...მატჩის მთავარი არბიტრის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის ვადიმ ჟუკის საფინალო სასტვენის ხმა და ვარდაბნელ ბიჭუნებს დროებით გადაავიწყდათ ბურთი. უნდა გენახათ ბავშვური სიხარულის ცრემლები, გაბრწყინებული სახეები, როგორ ეხვეოდნენ ერთმანეთს და ულოცავდნენ სანუკვარ გამარჯვებას. გამარჯვებას, რომელმაც „ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზზე 1975-1976 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის, მთავარი ჯილდო და ოქროს მედლები არგუნა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: ერთ ჩვეულებრივ დღეს, როდესაც ეს ბიჭუნები, ისევე როგორც ბევრი მათი თანატოლი, ქუჩაში უქმად კლავდნენ დროს, მათთან მივიდა თბილისელი ზეინკალი, თვითონაც ყოფილი ფეხბურთელი, მამედ ალიევი და ბავშვებს ფეხბურთის სათამაშოდ მოუხმო. ბურთიც მალე გამოინახა და ბიჭებიც თავგამოდებით შეუდგნენ თამაშს. სპორტის და, კერძოდ, ფეხბურთის სიყვარულმა დაიმორჩილა ბავშვები და ბურთთან დაამეგობრა.

რამდენიმე თვეში დაიწყო აღმასვლა, თუმცა, ეს არცთუ იოლი იყო. ყოველი შეჯიბრება, ყოველი ახალი მატჩი ოსტატობას მატებდა პატარებს.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში, რომელიც ქუთაისში გაიმართა, გარდაბნელმა ბიჭუნებმა თანმიმდევრობით დაამარცხეს გულრიფშის, ზესტაფონის, ცხაკაიას, საჩხერის, ქუთაისის გუნდები. მხოლოდ ერთი შეხვედრა დაამთავრეს ფრედ ვანის გუნდთან. მათ რესპუბლიკური ტურნირის გამარჯვებულის წოდება და ამასთან ერთად მინსკის საკავშირო ფინალურ ტურნირზე გამგზავრების უფლებაც მოიპოვეს. ფინალამდე მისასვლელი გზა „ენერგეტიკოსმა“ ტრიუმფით გაიარა, დაამარცხა ისეთი მეტოქეები, როგორებიცაა ყაზახეთის „სატურნი“ 5:0, ლატვიის „სოკოლი“ 4:1, ხაბაროვსკის „სპარტაკი“ 2:0, შემდეგ მეოთხედფინალში მოუგო ქ. ორიოლის „ტაიფუნს“ 3:1, ნახევარფინალში კი უზბეკეთის „ოლიმპიას“ 2:1.

გარდაბნის „ენერგეტიკოსი“ თუ ნოვოროსიისკის „ვოდნიკი“? ეს საკითხი გარდაბნის „ენერგეტიკოსის“ სასარგებლოდ გადაწყვიტა ამავე გუნდის თავდამსხმელის კოტე ნატრაძის მიერ მეტად დაძაბულ და საინტერესო მატჩში მეტოქის კარში გატანილმა ერთადერთმა ბურთმა...

ფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ კინოთეატრ „პიონერში“ შედგა ტურნირის საზეიმო დახურვა, რომელზეც გამარჯვებულ გუნდს ოქროს მედლები, საჩუქრო ბროლის თასი და დიპლომები გადაეცა.

ტურნირის საუკეთესო მცველად აღიარეს „ენერგეტიკოსის“ ცენტრალური მცველი სერგეი პაპიკიანი.



**გარდაბნის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი „ენერგეტიკოსი“.**
**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

გვწამს გარდაბნელთა ინტერნაციონალური გუნდი (სხვათა შორის გუნდში შვიდი ეროვნების მოთამაშეა) კიდევ მრავალჯერ გვასახელებს თავისი გამარჯვებებით არა მარტო ფეხბურთში, არამედ სწავლასა და შრომაშიც.

**თამაზ ბაგნიძე,**
**გარდაბნის რაიონი.**

# საერთაშორისო ტურნირი ესპანეთში

ამას წინათ ესპანეთის ქალაქ ალკუდიაში გაიმართა დიდი საერთაშორისო ტურნირი მოზარდ ფეხბურთელთათვის (ასაკი 20 წლამდე). შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ცნობილი ესპანური კლუბები „ბარსელონა“, „ვალენსია“, „ატლეტიკო“ (მადრიდი) და „ალკუდია“, შოტლანდიის „აბერდინი“, საფრანგეთის „ავინიონი“, ალჟირის ახალგაზრდული ნაკრები და სსრ კავშირის ჭაბუკთა გუნდი. ჩვენი ნაკრებისთვის (მწვრთნელი ბ. იგნატიევი) ეს ტურნირი იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პირველი ეტაპი იყო, თვით ჩემპიონატი კი საუდის არაბეთში გაიმართება.

საბჭოთა ფეხბურთელები ასაკით მეტოქეებზე ერთი წლით უმცროსნი იყვნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდი უპირატესობით დაამარცხეს ყველა მოწინააღმდეგე და პირველი ადგილიც დაიკავეს. პირველი შეხვედრა „ატლეტიკოსთან“ დამთავრდა ანგარიშით 5:0, მეორე — „აბერდინთან“ 3:0, შემდეგ „ალკუდიასთან“ — 2:1 და ფინალში — ალჟირის ახალგაზრდულ ნაკრებთან — 4:0.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა თბილისის დინამოელი ბ. თედეევი, აგრეთვე, ლენინგრადელი მეკარე ი. ოყროშიძე. აღსანიშნავია, რომ ბ. თედეევმა ტურნირში 4 ბურთი გაიტანა.

ჩვენი იუნიორი ფეხბურთელები 20 და 22 სექტემბერს პოლონეთში შეხვდებიან ამ ქვეყნის თანატოლთა ნაკრებს.

## ვიქტორ გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო მემორიალი

# დაწინაურდა ოლეგ რომანიშინი

**ვიდრე** ვიქტორ გოგლიძის ტურნირის V ტურის შედეგებს განვიხილავდეთ, ურიგო არ იქნება თვალი გადავავლოთ განვლილი ოთხი ტურის შედეგებს.

შესანიშნავად თამაშობენ და ჯერჯერობით დაუმარცხებლად მიიწევენ წინ საერთაშორისო დიდოსტატები, მსოფლიოს ექსჩემპიონი მიხეილ ტალი და ოლეგ რომანიშინი. სპეციალისტები მათ ტურნირის დაწყებიდანვე საპრიზო ადგილებზე გასვლის რეალურ პრეტენდენტებად თვლიდნენ.

რაც შეეხება დიდოსტატის ნორმას, მისი შესრულების ყველაზე კარგი შესაძლებლობა აქვთ ელიზბარ უბილავასა და ვალენტინ ლუკოვს (ბულგარეთი). ამ უკანასკნელს უბილავასთან შედარებით ერთი პარტიით ნაკლები აქვს ნათამაშები. იმედია, რომ ქართველი და ბულგარელი საერთაშორისო ოსტატები ყოველ ღონეს იხმარენ თავიანთი ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

ჯერჯერობით სუსტად თამაშობენ საერთაშორისო დიდოსტატი ედუარდ გუფელდი და იუგოსლაველი საერთაშორისო ოსტატი ზდენკო კოჟული, თუმცა შეჯიბრების დამთავრებამდე კიდევ ხუთი ტურია დარჩენილი და ალბათ ისინი შეძლებენ მდგომარეობის გამოსწორებას...

V ტურში დიდ ინტერესს იწვევდა ედუარდ გუფელდისა და ელიზბარ უბილავას შეხვედრა.

თეთრებით მოთამაშე გუფელდმა თავისი ფიგურები ინდური დაცვის სქემის მიხედვით განალაგა, რომელსაც იგი უფრო ხშირად შავებით თამაშის დროს იყენებს ხოლმე. უბილავამ დებიუტში არაზუსტად ითამაშა და უარესი პოზიცია მიიღო, მაგრამ შემდეგ შეუპოვარი დაცვით შეძლო არა მარტო გაეთანაბრებინა პოზიცია, არამედ უპირატესობასაც დაუფლებოდა. საბოლოოდ თამაშის ბედი ცაიტნოტში გადაწყდა. გუფელდმა ვერ აუღო ალღო სწრაფ თამაშს და უკვე წასაგებ პოზიციაში, 38-ე სვლაზე მოსაფიქრებლად განკუთვნილ დროს გადააცილა.




ზედიზედ მეოთხე ყაიმს დასჯერდა მსოფლიოს ექსჩემპიონი მიხეილ ტალი. იგი ამჯერად მე-16 სვლაზე ჩეხოსლოვაკიელ საერთაშორისო ოსტატ ედუარდ პრანდშტეტერს დაუზავდა.

ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ნოვიკოვი — ლუკოვი — 0:1, ზაიჩიკი — რომანიშინი — 0:1, შნაპიკი — კონკუესტი — 0,5:0,5.

ამრიგად, 5 ტურის შემდეგ 3,5 ქულით დაწინაურდა საერთაშორისო დიდოსტატი ოლეგ რომანიშინი. შემდეგ მოდიან ვალენტინ ლუკოვი (ბულგარეთი) — 3 (4 შეხვედრიდან), მიხეილ ტალი, ელიზბარ უბილავა, ალექსანდრე შნაპიკი (პოლონეთი) — 3-3.

**ვასილ ვაშაკიძე.**

# საკავშირო ფესტივალი — „ვანი-88“

**ვანის** სამთო პიონერულ ბანაკ „მზიანეთში“ ჩატარდა მოსწავლეთა საკავშირო საჭადრაკო ფესტივალი „ვანი-88“. სულ მონაწილეობდა 12 გუნდი (თითოეულში 4 ჭაბუკი და 2 გოგონა). 33 ქულით I ადგილი მოიპოვა სევასტოპოლის ნაკრებმა, 32,5 ქულით II ადგილი წილად ხვდათ მასპინძლებს — ვანელ მოსწავლეებს (ოსტატობის კანდიდატი ფირუზ ცაგარეიშვილი, პირველთანრიგოსნები პაატა ჩხეიძე, მერაბ თვალაბეიშვილი, გიგა ივანიძე, ლუიზა შალიკიანი, მზია ცერცვაძე). 30 ქულით III ადგილზე გავიდა მოსკოვის ძლიერი კოლექტივი.

აქვე ჩატარდა პირადი პირველობები გოგონათა და ჭაბუკთა შორის. გოგონებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I. მაია მახარაძე — 8 ქულა (9 შესაძლებლიდან), II. ტატიანა კრავჩუკი (მოსკოვი) — 7,5; III. რუსუდან გოლეთიანი (სოხუმი) — 7.

ჭაბუკთა შორის ყველას აჯობა სოსო კვირიაშვილმა (გურჯაანი) — 7,5 ქულა (9 შესაძლებლიდან), 7-7 ქულით II-III ადგილები გაიყვეს იან ნაუსმა და ვასილ სვისტუნმა.

**რაჩიკ კარტაშიანი,**
**შეჯიბრების მთავარი მდივანი.**

# პირველი პრიზი — რუდიკ კაზანჯიანს

**ავსტრიის** დედაქალაქ ვენაში გამართულ მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირში დიდ წარმატებას მიაღწია თბილისელმა სპორტის ოსტატმა რუდიკ კაზანჯიანმა (სს „თბილისი“, მწვრთნელი გარი საჰაკიანი?), რომელიც პირველი პრიზის მფლობელი გახდა.

# „დიდი მუზარადი“ — შტეფი გრაფს

**ნიუ-იორკი.** აშშ-ს ღია ჩემპიონატმა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელს შტეფი გრაფს კიდევ ერთი დიდი და ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა. ერთეულების ფინალში დაამარცხა თავისი მუდმივი მეტოქე არგენტინელი გაბრიელა საბატინი (6:3, 3:6, 6:1) და ეს პრესტიჟული შეჯიბრებაც მოიგო.

გრაფმა წლეულს „დიდი მუზარადის“ ოთხივე ტურნირში გაიმარჯვა (ავსტრალიის, საფრანგეთისა და აშშ-ს ღია ჩემპიონატები, აგრეთვე, უიმბლდონის ტურნირი) და მსოფლიო ჩოგბურთის ყველაზე პრესტიჟულ პრიზს დაეუფლა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩოგბურთის ისტორიაში „დიდი მუზარადი“ მხოლოდ ორ სპორტსმენ ქალს აქვს მიღებული — 1953 წელს ამერიკელ მორინ კონოლის და 1970 წელს — ავსტრიელ მარგარეტ კორტს.

ვაჟთა ერთეულების ნახევარფინალში შვედმა მატს ვილანდერმა ადვილად დაამარცხა ავსტრალიელი დარენ კაჰილი — 6:4, 6:4, 6:2, ივან ლენდლმა კი დიდის გაჭირვებით აჯობა 18 წლის ამერიკელ ანდრე აგასის — 4:6, 6:2, 6:3, 6:4. ფინალში ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მატს ვილანდერს დარჩა — 6:4, 4:6, 6:3, 5:7, 6:4, ჩოგბურთელს, რომელმაც წლეულს „დიდი მუზარადის“ ოთხი ტურნირიდან სამი მოიგო (ავსტრალიის, საფრანგეთისა და აშშ-ს ღია პირველობები).




## მეტოქეთა ბანაკში

**ვენა.** ადგილობრივმა „აუსტრიამ“, რომელიც უეფა-ს თასის გათამაშებაში ვილნიუსის „ჟალგირისის“ მეტოქეა, ავსტრიის ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში ანგარიშით 4:2 დაამარცხა „ადმირა-ვაკერი“ და 16 ქულით 10 ტურის შემდეგ ლიდერობს გათამაშებას.

**პარიზი.** საფრანგეთის ჩემპიონატის X ტურში „ბორდოს“ ფეხბურთელებმა, რომლებიც დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მეტოქეები არიან უეფა-ს თასზე, ფრედ ითამაშეს „მარსელთან“ — 0:0. „ბორდო“ ამჟამად მეოთხე ადგილზეა.

## ჟ. ავალანჟის აზრით

ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟოაო ავალანჟმა აზრი გამოთქვა, რომ მსოფლიოს 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყების წინ უძლიერეს გუნდებს მიეცემათ იმ სტადიონების არჩევის უფლება, სადაც მათ უნდა ითამაშონ. ასეთი პრივილეგია, პრეზიდენტის აზრით, უნდა მიეცეთ ჯერ იტალიელებს, შემდეგ კი, თანმიმდევრობით, არგენტინელებს, გფრ-ის ნაკრებს, ფრანგებს, ბელგიელებს და ბრაზილიელებს.

მე რომ მკითხოთ, — თქვა მან. — ყველაზე უკეთესი, თანამედროვე სტადიონი ქ. უდინეს აქვს და სწორედ ამ ქალაქის არჩევას ვუსურვებდი ჩემს თანამემამულეებს — ბრაზილიელებს.

## თამაშობენ ფეხბურთელი ქალები

არკო დი ტრენტოში (იტალია) გაიმართა ფეხბურთელ ქალთა ეროვნული ნაკრები გუნდების საინტერესო საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც იტალიელმა მიმომხილველებმა „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატი“ უწოდეს. მასში სხვადასხვა ქვეყნის 6 ნაკრები მონაწილეობდა.

გადამწყვეტი მატჩის დამატებით დროში ინგლისელმა ქალებმა ანგარიშით 2:1 სძლიეს იტალიელებს და მთავარ პრიზსაც დაეუფლნენ.

# ვეტერანთა სპარტაკიადაზე

**პროფკავშირთა** სპორტსაზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს თაოსნობით ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა ომისა და შრომის ვეტერანთა მეორე საქალაქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა მოკლე მანძილზე რბენა, ყუმბარის ტყორცნა და სიგრძეზე ხტომა.

სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო ოცმა ომის და ორმოცდახუთმა შრომის ვეტერანმა. შეჯიბრების ყველაზე უმცროსი მონაწილის ასაკი 50 წელს აღემატებოდა.

პირველ სახეობაში — 60 მეტრზე რბენაში — ყველას აჯობა დიდი სამამულო ომის ვეტერანმა, კაპიტანმა ბ. სოკოლოვსკიმ. მეორე ადგილზე გავიდა მაიორი ი. წივწივაძე, მესამეზე — ლეიტენანტი შ. კვირიკაშვილი. ისინი სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის გუნდის ღირსებას იცავდნენ.

სიგრძეზე ხტომაშიც ბ. სოკოლოვსკიმ გაიმარჯვა, ი. წივწივაძე აქაც მეორე იყო, ყუმბარის ტყორცნაში კი შ. კვირიკაშვილმა იმარჯვა.

არანაკლებ საინტერესოდ წარიმართა შრომის ვეტერანთა ასპარეზობაც. ომის ვეტერანმა ი. წივწივაძემ აქაც სცადა ბედი და 60 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში პირველი ადგილები დაიკავა. ამ სახეობაში თავი გამოიჩინეს აგრეთვე ნ. ჩიხლაძემ, გ. უკლებამ და ნ. ტყეშელაშვილმა.

ყუმბარის ტყორცნაში თავი ისახელეს პ. კოსტავამ, ნ. ტყეშელაშვილმა და მ. კუჭავამ.

გამარჯვებული და საპრიზო ადგილებზე გასული ვეტერანები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

**თამაზ კოლხიდელი,**
**(„ლელოს“ საკ. კორ.).**



**ისრაელში უკვე 15 წელიწადია გამოდის ქართული გაზეთი „ალია“, რომელიც ისრაელში ჩასულმა ქართველმა ებრაელებმა დააარსეს. ეს ქართულენოვანი გამოცემა დიდ ადგილს უთმობს სპორტს. გთავაზობთ ერთ წერილს („ჩვენი თანამემამულის წარმატება“) გაზეთ „ალიადან“. იგი ეძღვნება ისრაელის შვიდგზის ჩემპიონს კრივში, 24 წლის არონ იაკობაშვილს, რომელიც წარმოშობით თბილისელია.**

# ჩვენი თანამემამულის წარმატება

**ამ** ორი კვირის უკან პოლონეთის ქალაქ ვარშავაში დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა კრივში, სადაც მსოფლიოს მრავალ გამოჩენილ მოკრივესთან ერთად მონაწილეობა მიიღო ჩვენმა თანამემამულემ არონ იაკობაშვილმა. მის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ მან თავის წონით კატეგორიაში ყველა მოწინააღმდეგე დაამარცხა და ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი...

ისრაელის ნაკრების მწვრთნელმა კრივში სპორტულ ჟურნალისტებთან საუბარში მაღალი შეფასება მისცა ჩვენს თანამემამულეს და თან დასძინა, რომ არონ იაკობაშვილი მონაწილეობას მიიღებს სეულის ოლიმპიადაში. გამორიცხული არ არის ისიც, რომ მან ოლიმპიადის მედალი მოიპოვოს თავის წონით კატეგორიაში.

ღმერთმაც ქნას, ეს ერთი და სხვა მრავალი. სულ გამარჯვებით გვევლოს ჩვენო ახალგაზრდა თანამემამულევ. იმედია არ შეირცხვენ თავს და პირველი ქართველი ებრაელი იქნები, რომელიც ოლიმპიადის ჩემპიონი ან პრიზიორი გახდები. აბა, შენ იცი. თავი არავის დააჩაგვრინო სპორტულ რინგზე. არ დაგავიწყდეს ვისი გორისა ხარ. გამარჯვებას გისურვებთ არონ იაკობაშვილო.

**გაზეთი „ალია“, № 944, 1988 წ.**

**P. S. როგორც ამ დღეებში შევიტყვეთ, არონ იაკობაშვილმა უკვე მოიპოვა სეულის ოლიმპიადის საგზური.**

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 36-ე ტირაჟების შედეგები, რომლებიც 4 სექტემბერს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** გაიყიდა 1334487 ბარათი. ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (12 ბარათი) მოგება 3538 მანეთია, ოთხისთვის (1192) — 50, სამისთვის (24527) — 4.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** გაიყიდა 13.821.180 ბარათი. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (34 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (4871) — 133, სამისთვის (155024) — 7.

## „სპორტპროგნოზი“

**37-ე ტირაჟის შედეგები (10-12 სექტემბერი)**

1—X, 2—1, 3—2, 4—1, 5—2, 6—1, 7—1, 8—1, 9—X, 10—2, 11—1, 12—X, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

**რედაქტორი**
**თ. ბაჩეჩილაძე**

**საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ბავშვთა და მოზარდთა ძალოსნობის რესპუბლიკური სპორტული სკოლა**

აცხადებს 1976-78 წლებში დაბადებულ ბავშვების მიღებას დაწყებით ჯგუფებში, რომლებსაც მოემსახურებიან მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები.

ვარჯიშები ჩატარდება სპორტკლუბ „სინათლეს“ ძალოსნობის კეთილმოწყობილ დარბაზში.

მისამართი: ტელმანის ქ. № 8, ტელეფონი — 35-40-47.

**სკოლის დირექცია.**

**ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტსკოლა**

აცხადებს 1988-89 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას კალათბურთში და ფეხბურთში. სკოლაში მიიღებიან 1980-81 წლებში დაბადებული მოზარდები.

ჩარიცხვა ხდება ყოველდღე გარდა კვირისა 10 დან-14 საათამდე. ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთის და ფეხბურთის კათედრაზე.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი, 49.

**სკოლის დირექცია.**

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტული სკოლა მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე აცხადებს 1976-77-78-79 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა მიღებას.**

მისამართი: დიღმის მასივი, III კვარტალი, ბელიაშვილის ქ. №6. ტელ: 51-84-47.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, ღვეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-56,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„შერანი“ — 93-97-26, „მარცვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10846

ეროვნული ბიბლიოთეკა